საქართველოს გენერალური პროკურატურა

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში

შესავალი

მსხვერპლთა დაცვის გაძლიერება და დაზარალებულზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოება საქართველოს პროკურატურის სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს.[1]

სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული მნიშვნელოვანი სუბიექტია და მისი საპროცესო უფლებების სრულყოფილი რეალიზებისთვის დიდია პროკურატურის წვლილი. გარდა საპროცესო უფლებების რეალიზებისა, მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში მოხდეს დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და იმ ზიანის მინიმუმამდე დაყვანა, რომელიც შესაძლოა დაზარალებულს მიადგეს სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის შედეგად. აღნიშნული ამოცანების შესრულებას ემსახურება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, რომელიც საქართველოს პროკურატურის სისტემაში 2011 წლიდან ფუნქციონირებს. სამსახურის მიზანია მოწმისა და დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე მოწმისა და დაზარალებულის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების (შემდგომში - კოორდინატორი) უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით, საქართველოს პროკურატურა მუდმივად ზრუნავს კოორდინატორების პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერებაზე. 2023 წელს კოორდინატორებმა გაიარეს პროფესიული სწავლება სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის:

- „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სპეციალიზაციის კურსი“, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებმა გაიუმჯობესეს ცოდნა და უნარები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის: სქესობრივი დანაშაულის კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები; სქესობრივი ძალადობის დანაშაულების გააზრება გენდერულ ჭრილში; გასაუბრების დროს მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება; სრულწლოვან და არასრულწლოვან მსხვერპლებთან ტრავმაინფორმირებული მიდგომები და მსხვერპლთა მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენცია და სხვა.
- ტრენინგი თემაზე „შშმ პირთა უფლებები და კომუნიკაციის სტანდარტი“. კურსის ფარგლებში განხილულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის გაგება; სახელმწიფოს ვალდებულებათა ჩარჩო ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით; შშმ პირებთან კომუნიკაციის სტანდარტი და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები და სხვა.

[1] საქართველოს პროკურატურის სტრატეგია (2022-2027 წლები)

- ტრენინგი თემაზე „დანაშაულის მსხვერპლ და მოწმე ბავშვზე მორგებული მიდგომები ბავშვთა მართლმსაჯულების სისტემაში“. ტრენინგი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიც არის: ბავშვის უფლებების მარეგულირებელი საერთაშორისო დოკუმენტები და ადგილობრივი კანონმდებლობა; მოწმე და მსხვერპლ ბავშვთან ურთიერთობა, ბავშვის განვითარების მახასიათებლები, შესაძლებლობები და შეზღუდვები; მოწყვლადი და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან კომუნიკაციის სტანდარტი; ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება და სხვა.

2023 წლის სტატისტიკური მონაცემები

2023 წელს, 2021-2022 წლებთან შედარებით, გაზრდილია იმ პირთა რაოდენობა, ვინც საქართველოს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით ისარგებლა. კერძოდ, 2023 წელს კოორდინატორების მიერ მხარდაჭერა გაეწია 5496 პირს.

პირთა რაოდენობა წლების მიხედვით



მათ შორის: 3034 სრულწლოვანი დაზარალებული, 125 არასრულწლოვანი დაზარალებული, 1173 სრულწლოვანი მოწმე, 55 არასრულწლოვანი მოწმე, 650 განმცხადებელი, 459 სხვა პირი.

მოქალაქეთა სტატუსი



5496 მოქალაქეს შორის, რომლებსაც მხარდაჭერა გაეწიათ კოორდინატორების მიერ, 3878 (70%) იყო ქალი, ხოლო 1618 (30%) - კაცი.





2023 წელს კოორდინატორებსა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაცია 2901 (23%) შემხვევაში შედგა პირისპირ, ხოლო 9719 (77%) შემთხვევაში განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაცია.



2023 წელს კომუნიკაციის ინიციატორები უმეტეს შემთხვევაში იყვნენ კოორდინატორები. კერძოდ, 8046 (64%) შემთხვევაში კომუნიკაცია შედგა კოორდინატორის ინიციატივით, ხოლო 4574 (36%) შემთხვევაში კომუნიკაციის ინიციატორი იყო მოქალაქე.



2023 წელს კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად დახმარება გაუწიეს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მოწმეებსა და დაზარალებულებს:[2]



[2] მონაცემები წარმოდგენილია დანაშაულების მიხედვით. შესაბამისად, მათი რაოდენობა შესაძლოა არ ემთხვეოდეს სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობას.

2022 წელთან შედარებით, 2023 წელს გაზრდილია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებში. კერძოდ, 2023 წელს კოორდინატორები ჩართულნი იყვნენ 11[1] და 126[1] მუხლებით დაკვალიფიცირებულ სისხლის სამართლის 1825 საქმეში.

ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის საქმეებში კოორდინატორის ჩართულობა



2023 წელს, კოორდინატორების მიერ, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის 2560 დაზარალებულს/მოწმეს გაეწია მხარდაჭერა. მათ შორის, 2169 იყო ქალი, 391 - კაცი.

მდედრობითი		2169
დაზარალებული	სრულწლოვანი	1816
	არასრულწლოვანი	54
მოწმე	სრულწლოვანი	282
	არასრულწლოვანი	17
მამრობითი		391
დაზარალებული	სრულწლოვანი	198
	არასრულწლოვანი	15
მოწმე	სრულწლოვანი	171
	არასრულწლოვანი	7

2023 წელს პროკურატურის კოორდინატორები ჩართულნი იყვნენ ქალთა მიმართ ძალადობის სისხლის სამართლის 1982 საქმეში, სადაც დაზარალებული იყო სრულწლოვანი ქალი. აღნიშნულ საქმეთა ფარგლებში, მხარდაჭერა გაეწია 2050 დაზარალებულ ქალს.[3]

[3] ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები დათვლილია სსკ-ის შემდეგი მუხლების მიხედვით: 11[1] მუხლით დაკვალიფიცირებული ყველა საქმე, ასევე, 108-ე, 109-ე, 111-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 126[1], 133-ე,

ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში კოორდინატორების ჩართულობა	
რეგიონი	**საქმე**
თბილისი	635
დასავლეთ საქართველო	372
აჭარა	301
შიდა ქართლი	161
სამცხე-ჯავახეთი	151
კახეთი	138
ქვემო ქართლი	137
სამეგრელო-ზემო სვანეთი	87
სულ საქმეთა რაოდენობა	**1982**

2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, გაზრდილია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საქმეებში. კერძოდ, კოორდინატორები ჩართულნი იყვნენ სისხლის სამართლის კოდექსი 137-141-ე მუხლებით დაკვალიფიცირებულ 166 საქმეში, რომელთა ფარგლებში მხარდაჭერა გაუწიეს 287 დაზარალებულს/მოწმეს. მათ შორის:

მდედრობითი		**239**
დაზარალებული	სრულწლოვანი	82
	არასრულწლოვანი	48
მოწმე	სრულწლოვანი	95
	არასრულწლოვანი	14
მამრობითი		**48**
დაზარალებული	სრულწლოვანი	6
	არასრულწლოვანი	6
მოწმე	სრულწლოვანი	32
	არასრულწლოვანი	4

133[1], 133[2], 137-141-ე, 143-ე, 143[1], 143[2], 144[1], 144[3], 150-ე, 150[1], 151-ე, 151[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების საქმეები.

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების საქმეები, სადაც ჩართული იყო კოორდინატორი



2023 წელს გაზრდილია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების საქმეებში, კერძოდ, კოორდინატორები ჩართულნი იყვნენ სისხლის სამართლის 519 საქმეში, რომელთა ფარგლებშიც მხარდაჭერა გაუწიეს 544 დაზარალებულს, მათგან 527 იყო ქალი, ხოლო 17-კაცი.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის საქმეები, სადაც ჩართული იყო კოორდინატორი





544 დაზარალებულიდან, 532-ის მიმართ დანაშაული ჩადენილი იყო გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.

დისკრიმინაციული ნიშანი	
გენდერი	532
გენდერული იდენტობა	5
სექსუალური ორიენტაცია	3
ეთნიკური კუთვნილება	2
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი	2

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურისთვის პრიორიტეტულია ისეთ საქმეებში ჩართულობა, სადაც პროცესის მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. 2023 წელს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ჩართულნი იყვნენ სისხლის სამართლის 26 საქმეში, სადაც მოწმე ან/და დაზარალებული იყო შშმ პირი. კოორდინატორების მიერ მხარდაჭერა გაეწია 37 შშმ პირს. მათგან, 33 იყო სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაზარალებული/მოწმე, ხოლო 4 - განმცხადებელი. 37 პირიდან 30 იყო ქალი, 7 - კაცი. მათ შორის:

სრულწლოვანი დაზარალებული	23
მდედრობითი	19
მამრობითი	4
არასრულწლოვანი დაზარალებული	1
მდედრობითი	1
სრულწლოვანი მოწმე	9
მდედრობითი	8
მამრობითი	1
განმცხადებელი	4
მდედრობითი	2
მამრობითი	2

პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი 2023 წელს ჩართული იყო ტრეფიკინგის 7 საქმეში, რომელთა ფარგლებში მხარდაჭერა გაეწია 12 მოწმე/დაზარალებულს, მათ შორის, 5 არასრულწლოვანს. ტრეფიკინგის დანაშაულის მოწმის/დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერის მიზნით, კოორდინატორი დაესწრო მოწმის/დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო და საპროცესო

მოქმედებებს, მათ შორის, გამოკითხვას და საგამოძიებო ექსპერიმენტს. ასევე, სასამართლო განხილვის სამართლებრივი პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, შეხვდა და გაესაუბრა დაზარალებულებს და მათი ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, დაესწრო სასამართლო პროცესს. დაზარალებულთა საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით, კოორდინატორმა ტრეფიკინგის დანაშაულის დაზარალებულებს მიაწოდა ინფორმაცია არსებული სერვისების შესახებ და დაეხმარა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სერვისების მიღებაში.

2023 წელს გაზრდილია კოორდინატორების მიერ განხორციელებული ქმედებების რაოდენობა. კერძოდ, კოორდინატორების მიერ 2023 წელს განხორციელდა 21483 აქტივობა.

კოორდინატორების მიერ განხორციელებული ქმედებები



2023 წელს კოორდინატორები დაესწრნენ დაზარალებულის/მოწმის მონაწილეობით ჩატარებულ 272 საგამოძიებო მოქმედებას. მათ შორის:

საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებზე დასწრება



მოწმისა და დაზარალებულისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობების, ასევე, სასამართლო განხილვის სამართლებრივი პროცედურების შესახებ ინფორმაციის

მიწოდების მიზნით, საანგარიშო პერიოდში კოორდინატორები შეხვდნენ 1059 დაზარალებულს/მოწმეს და, მათი ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, დაესწრნენ 388 სასამართლო პროცესს.

2023 წელს მოქალაქეთა (მათ შორის, მოწმე/დაზარალებული) მხრიდან სულ დაფიქსირდა 4210 მოთხოვნა/შეკითხვა. ყველაზე ხშირად მოთხოვნილი იყო გამოძიებასთან ან პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, პროკურორთან შეხვედრა, შემოტანილ განცხადებაზე რეაგირება/რეაგირების შესახებ ინფორმაცია.

მოქალაქეთა მხრიდან ყველაზე ხშირად დასმული საკითხები



კოორდინატორის სამსახურის რესურსის და კანონის მიზნიდან გამომდინარე, პროკურორები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობას ძირითად სთავაზობენ იმ დაზარალებულს, რომელიც არის განსაკუთრებულად მოწყვლადი ან/და არსებობს მოლოდინი ან ინფორმაცია, რომ შესაძლოა ისარგებლოს ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით.

კოორდინატორთან კონსულტაციის შეთავაზების მიზანია, დაზარალებულმა სრულყოფილად გაიაზროს მისი უფლება-მოვალეობები და როლი სამართალწარმოების პროცესში, საქმის განხილვის ეტაპზე ჩვენების მიცემის მნიშვნელობა, მართლმსაჯულების განხორციელების მიზანი, ძალადობის განმეორების მოსალოდნელი საფრთხე და შედეგები. გარდა ამისა, დაზარალებულთან კომუნიკაციის მიზანია, პროკურორი/კოორდინატორი დარწმუნდეს, რომ დაზარალებულის მიმართ არ ხორციელდება რაიმე უკანონო ზემოქმედება, დადგინდეს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შესაძლო განმაპირობებელი სუბიექტური ან ობიექტური მიზეზი - მუქარა, იძულება, თხოვნა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, საცხოვრებლის საჭიროება და სხვა, რათა შეფასდეს დაზარალებულის მიმართ ფსიქოლოგიური, მორალური, ფიზიკური, მატერიალური მხარდაჭერის საჭიროება და მიღებული იქნეს შესაბამისი ზომები.

2023 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის შეთავაზება განხორციელდა 24 სტრუქტურულ ერთეულში, 336 დაზარალებულთან. მათ შორის, კოორდინატორის რესურსი გამოიყენეს იმ სტრუქტურულმა ერთეულებმაც, სადაც არ ჰყავთ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, რაც წარმოადგენს კარგ პრაქტიკას. აღსანიშნავია, რომ 336 დაზარალებულიდან, რომლებსაც პროკურორმა შესთავაზა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობა, 203 (61%) იყო ბრალდებულის მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული), 77 (23%) - მშობელი, 38 (11%) - შვილი და 18 (5%) - სხვა.

ბრალდებულისა და დაზარალებულის ნათესაური კავშირი



336 დაზარალებულიდან, რომლებსაც პროკურორებმა შესთავაზეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მოსაფიქრებელი ვადა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაცია, 109-მა (32%) შეთავაზებაზე განაცხადა უარი, ხოლო 227-მა (68%) გამოთქვა სურვილი ესარგებლა სამდღიანი მოსაფიქრებელი ვადით და კოორდინატორთან კონსულტაციით.

შეთავაზებაზე დაზარალებულის პასუხი



227 დაზარალებულიდან, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შეთავაზებაზე, კოორდინატორთან კონსულტაციის გავლისა და მოსაფიქრებელი ვადის შემდეგ, სასამართლო პროცესზე ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენება მისცა 63-მა დაზარალებულმა, კოორდინატორის მიერ გაწეული მუშაობის მიუხედავად, ჩვენება არ

მისცა 112-მა, 20 მათგანის შემთხვევაში აღარ გახდა საჭირო ჩვენების მიცემა, რადგან დაცვის მხარემ უდავოდ ცნო მტკიცებულებები, ხოლო, 32 დაზარალებულის შემთხვევაში, ანგარიშის დამუშავების დროისათვის არ იყო გამართული სასამართლო სხდომა.



63 დაზარალებულის საქმეზე (რომლებმაც კოორდინატორთან კონსულტაციის გავლისა და მოსაფიქრებელი ვადის შემდეგ სასამართლო პროცესზე ბრალდებულის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება) ანგარიშის დამუშავების დროისათვის, 44 შემთხვევაში დასრულებული იყო სასამართლო განხილვა. აქედან, 36 შემთხვევაში დადგა გამამტყუნებელი, ხოლო 6 შემთხვევაში - გამამართლებელი განაჩენი.



საქართველოს პროკურატურა, კოორდინატორთა რესურსის გამოყენებით, მათი მაქსიმალური ჩართულობით, მომავალში კიდევ უფრო აქტიურად შეეცდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობის გამოყენებას, რათა ოჯახური დანაშაულის დაზარალებულთა მხრიდან ჩვენების მიცემაზე უარის თქმამდე მოხდეს მათი დეტალური ინფორმირება მოსალოდნელი შედეგების, ხელახალი ვიქტიმიზაციის არსებული საფრთხეების თაობაზე და ასევე

მაქსიმალურად გამოირიცხოს არაინფორმირებული ან დაზარალებულზე შესაძლო უკანონო ზემოქმედების მიზეზით, დაზარალებულის მიერ მისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს პროკურატურა კვლავაც აქტიურად გააგრძელებს მუშაობას კოორდინატორის სამსახურის გაძლიერების და დაზარალებულთა ინტერესებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელების მიმართულებით.